ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუშათა განთავისუფლება — მუშათა საქმეა“

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ახალი ნაკადი

ფასი 1 მან.

№ 29 კვირა 8 ივნისი 1919 წ.

გაზეთი ამიერითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გ ა ზ ე თ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართულის კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

დედა-ქალაქი 8 ივნისი 1919 წ.

გაერთიანებისათვის

დღეს უკვე ნათლად ირკვევა პარიზის კონფერენციის სულის ჩამდგმელთა ბოროტი განზრახვანი, რომლითაც ისინი ჰფიქრობენ შური იძიონ არა მარტო დამარცხებულ გერმანიაზე, ავსტრიასა, თუ ოსმალეთზე, არამედ ხელში აიღონ მთელი მსოფლიოს ბატონობის საქმე და ვაი იმათ, ვინც გაჰბედავს და ამ გამარჯვებით დამთვრალ ბატონობას არა სცნობს. მაშინ საფრანგეთიც კი, ეს ქვეყანა უდიდეს რევოლიუციათა და მაღალ სოციალურ მოძრაობათა, პირველი მოითხოვს, რომ შეიარაღებული ძალები იქნენ გაგზავნილი ურჩთა წინააღმდეგ.

ჩვენ ვამბობთ საფრანგეთიც-თქო დასაკვირველია, მხედველობაში გვყავს არა მთელი საფრანგეთის ერი, არამედ მთავრობა და მისი მამოძრავებელი წრეები, ჩვენ კარგად ვიცით, რომ საფრანგეთის სოციალისტებში უკვე გაისმის ხმამაღალი პროტესტი წინააღმდეგ მთავრობის მოქმედებისა და საერთოდ საზავო კონფერენციისა; ასევე იქცევიან ინგლისისა და იტალიისა სოციალისტები და მათ იმპერიალიზმის საწინააღმდეგ პროტესტში და თუ გნებავთ ბრძოლაშიც პირველადვე გვერდში ამოუდგენ საფრანგეთისა, იტალიის და ინგლისის მუშათა შრომის კავშირები.

თუ საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზია უკანასკნელ ძალებს იკრებს თავისი მეუფების შესანარჩუნებლად და თავის ზრახვათა გასანაღდებლად, არც საწინააღმდეგო ძალას სძინავს და აჩქარებულად სწარმოებს საერთაშორისო მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შეჰქმნა, რომელიც პირისპირ დაუდგება შავ ლაშქარს და მის დამარცხებაზე ააგებს სულ ახალი სახის დამოკიდებულებათ. დღეს უკვე სჩანს, რომ სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა კლასი ცდილობს მთელის არსებით შეებრძოლოს იმპერიალისტთა მოქმედებას და მხარი ვაუმაგროს თავის თანამოძმეთ. ეს მოვლენა უნდა გვახარებდეს და იმედს გვინერგავდეს. იგია, რომ დააჩქარებს საერთაშორისო საომარი ატმოსფერის გაწმენდას და და განაწამებ კაცობრიობას მშვიდობას მოჰგვრის.

თუ რამდენად ძლიერია ამ ბოლო ხანებში სხვა და სხვა სოციალისტების პროტესტი, იმპერიალისტების წინააღმდეგ მიმართული, სჩანს თუ გნებავთ იმ ანგარიშიდან, რომელიც გადმოგვცეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პიშონს მოხსენებას პარლამენტში და მის საწინააღმდეგო სიტყვებს. საკითხი უმთავრესად რუსეთში მოკავშირეთა მიერ ჯარის გაგზავნას შეეხება. პარლამენტის საუკეთესო ნაწილი სასტიკად ილაშქრებს პიშონის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამაოდ ცდილობს პიშონი ბრალი დასდოს სოციალისტებს, თქვენ ბოლშევიკებს უთანაგრძნობთ და ამიტომ ხართ ჯარების გაგზავნის წინააღმდეგიო. ამაზედ სწორედ სამართლიანად უპასუხებენ სოციალისტების ორატორები რომ შეიძლება იგინი არ იზიარებენ ბოლშევიკების ბრძოლის მეთოდებს და ტყუილად სდებს მათ ამ მხრივ ბრალს ბ. პიშონი, მაგრამ ისინი მთელის არსებით წინააღმდეგი არიან, რომ რუსეთის შინაურ საქმეებში ერეოდეს საფრანგეთის ჯარი და საფრანგეთის მთავრობა. პიშონი და სამხედრო მინისტრი ცდილობენ სულ სხვა გვარად გადაუშალონ სურათი პარლამენტს, მაგრამ ბოლოს იძულებული ხდებიან, განაცხადონ, რომ ამიერიდან რუსეთში ჯარს აღარ გავგზავნითო. ფრიად საყურადღებოა რომ ამ კამათის დროს ირკვევა ისიც თუ როგორ ძლიერია თვით საფრანგეთის ჯარში პროტესტი და ხშირად წინააღმდეგობაც მთავრობის განკარგულების მიმართ. ერთი სიტყვით იზრდება ოპოზიცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, შეიძლება მოკლე ხანში ამ აზრით განმსჭვალული დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის პირდაპირ შეტევის გზას დაადგეს და ძირს გამოუთხაროს ლოიდ ჯორჯისა და კლემანსოს ბატონობას.

ჩვენც ამისთვის უნდა ვემზადოთ. და თუ დღეს მოკავშირეთა მიერ გათამამებული დენიკინი შემუსვრას გვიქადის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფუძველი ჩვენი გამარჯვებისა რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანებისა და კოორდინაციაშია. ბოლშევიკებთან შეთანხმებით უნდა ერთხელ და სამუდამოდ შევმუსროთ რუსეთის განაპირა ნაწილებში თავმოყრილ რეაქციონერთა ლაშქრები...

ჩვენი გზა.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება რეზოლიუციები საქართველოს რევოლიუც სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის პირველი კონფენციისა.

ვინც როგორი შეხედულების არ უნდა იყოს ამ კონფერენციის მუშაობაზე, ყოველ შემთხვევაში მან უეჭველად უნდა აღიაროს, რომ ამ კონფერენციაზე საძირკველი ჩაეყარა, ჩამოყალიბდა და ცხოვრებაში არსებობა დაიწყო საქართველოს მშრომელთა შორის ახალმა მოვლენამ, ახალმა ნაკადმა—სინდიკალისტურმა მოძრაობამ,

ვინც როგორ არ უნდა ეკცეოდეს ჩვენი ჯგუფის გაჩენას, სიმპატიით, თუ ანტიპატიით, უძირო სიძულვილით, თუ გულწრფელი აღტაცებით ერთი რამ მათაც უნდა აღნიშნონ: ეს მიმართულება ერთად ერთი სწორი გზაა შრომის განთავისუფლებისა, რომ მას ეჭვს გარეშე აქვს საფუძველი ჩვენს ქვეყანაშიც და დღესუკვე გამოეხმაურენ მის მოწოდებას მუშათა ზოგიერთი წრეები.

სინდიკალისტური მოძრაობა, ჩვენის ღრმა რწმენით, არის იარაღი, რომელიც გაჰკაფავს ტანჯული ადამიანის არსებობის ასპარეზს, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური შემოქმედებით შერყვნილს, და თავისუფალ პიროვნებას თავისუფალ შრომით მიანიჭებს უსაზღვრო საშუალებას ბედნიერებისა, შემოქმედებისა და ზეაღმაფრენისას.

შემცდარია ის, მაინც ჰფიქრობს, რომ მომავალი თავისუფალი საზოგადოება შედეგი იქნება ამა თუ იმ პოლიტიკურ სოციალური პარტიის მიერ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა და შემდეგ ცხოვრებაში სათანადო რეფორმების გატარებისა. დრო არის მშრომელი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ გამოეთხოვოს ამ ყალბ და მავნე ცრუმორწმუნოებას.

განვლილი ცხოვრება და არსებული სინამდვილე ბრმებსა და ყრუებსაც კი, ვგონებთ, გარკვეულად ეუბნება, რომ ეს აზრი ყოველგვარ სინამდვილესა და სიმართლეს მოკლებულია. საკუთარი ინიციატივა, თვით მოქმედება, პსიხოლოგიური შემზადება, ორგანიზაციული შეკავშირება, შრომის განთავისუფლების ინტერესების სათანადო გათვალისწინება, წარმოების მექანიზმის შეთვისება, რომ საფსებით შემცნობილ იქნას მშრომელთა მიერ ყოველგვარი მხარე, აი რა უნდა დაისახოს უახლოეს მიზნად საერთოდ მთელი ქვეყნის და კერძოდ საქართველოს მშრომელმა ხალხმა.

მათ დაუყოვნებლივ უნდა შეჰქმნან წარმოების დარგის მიხედვით სინდიკატები, სადაც ადგილი არ უნდა ექნეს პარტიულ მოუთმენლობასა და ფანატიზმს და სადაც მათი ადგილი თავისუფალმა შემოქმედებამ უნდა დაიჭიროს. სინდიკატების საშუალებით მუშა მწარმოებელნი (და არა ხაზეინები) უნდა გახდენ წარმოების სული და გული, რომ დაამფუძნონ პირობები, რომელშიაც წარმოებისათვის საჭირო აღარ იქნებიან „ხაზეინები“ და მათ მიერ დაქირავებული ინსტრუქტორები, არამედ ყველაფერს თვით მუშა-მწარმოებელნი გაუძღვებიან. ხოლო სადაც ეს შესაძლებელია, დღესვე უნდა გადავიდეს ასეთი სინდიკატების ხელში ესა თუ ის საწარმოო დაწესებულება. ერთი სიტყვით, სინდიკატები უნდა გადაიქცენ იმ ჩანასახათ. რომელნიც დღევანდელ ბურჟუაზიულ ხანაში განსახიერება იქნებიან მომავალი თავისუფალი საზოგადოებისა.

ამ სინდიკატების შექმნისაკენ იქნება მიქცეული ჩვენი უმთავრესი ყურადღება; საქართველოს მშრომელი ხალხის სათანადო დარაზმვა და მათი განთავისუფლება სხვათა მზრუნველობისაგან იქნება ჩვენი უახლოესი მიზანი. დარწმუნება მუშათა კლასისა, რომ სახელმწიფოსა და კანონმდებლობის საშუალებით დიდი ტრანსფორმაციის მოხდენა „საცოდავი უტოპიაა“ და მათში თაოსნობისა და საკუთარი მოძრაობის გაღვივება და გაძლიერება, იქნება უმთავრესი საგანი ჩვენი მოქმედებისა.

მაგრამ ჩვენ დღეს, როდესაც საქართველოს მოეხსნა საუკუნოებრივი მონობის ბორკილები, გულზე ხელდაკრეფილნი ვერ ვიქნებით ჩვენ ამ ფრიად სასიხარულო მოვლენის წინაშე. არსებული წესწყობილების ფრაქტიკაში ჩვენ ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ხელს ვერ შეუშლით საქართველოს მშრომელი ხალხის ეროვნულ მონობისაგან საბოლოო განთავისუფლებას, პირიქით, ჩვენ მტკიცედ დავედებით მის დაცვას, თუ რომელიმე შავბნელი ძალა მოინდომებს საქართველოს განადგურებას. ვინაიდან დრმადა გვრწამს, რომ შრომის მსოფლიო კავშირი შეუძლია შეჰქმნან მხოლოდ თავისუფალ ერთა თავისუფალ მშრომელ ხალხს.

ჩვენ არ გვინდა გადამეტებული წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენს თავზე, ჩვენ ძლიერ კარგად ვიცნობთ ჩვენ ძალას, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, თუ რამდენად ძლიერია ჩვენი მამოძრავებელი იდეა, რომლის წინაშე უსუსურია გაბოროტებული ყიჟინა და დაბალი დემაგოგია. ჩვენ ისიცა გვრწამს, რომ თანდათან და შეიძლება ძლიერ ახლო მომავალშიაც გადაგვიშალოს თავის გული საქართველოს მშრომელმა ხალხმა და ხელში აიღოს ჩვენი დროშა...

მომავალ საფრთხის წინაშე

რუსეთის მოციქული მსოფლიო იმპერიალიზმისა, გენერალი დენიკინი თავის ბინძურ და მუხანათურ ხელს იშვერს ამიერ-კავკასიის პატარა რესპუბლიკათა დემოკრატიის წინააღმდეგ. ნუ დავივიწყებთ, რომ მისი ერთი ხელი გაშვერილია რუსეთის წითელ არმიელთა წინააღმდეგ და მეორე კი ჩვენ მოსასპობათ.

ნურავის გონია, რომ დენიკინის ბრძოლა იყოს ბრძოლა ეროვნული, ან ტერიტორიალური, ეს მეორე ხარისხოვანი მიზეზია. ჩვენ დენიკინის სახით საქმე გვაქვს ევროპის უკიდურესად განვითარებულ კაპიტალიზმ-იმპერიალიზმთან; ამიტომაც ეს შავი და დაუნდობელი ძალა მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ, იმ დემოკრატიის, რომელიც ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო-ვილსონის პოლიტიკას საუკეთესო განსასვენებელ სავანეს უძებნის და როგორც მომაკვდავი ბუზი ცდილობს მთელი თავისი სიძლიერე შემოდგომაზე გამოიჩინოს და მთელი ენერგიით იბინება, ისე გაუმაძღარი იმპერიალიზმი მთელი თავის ძალას იკრებს, რომ სიკვდილის ჟამს მკვლელს სასტიკათ შეუტიოს და დაამახსოვროს დრო თვისი განსვენებისა. აი ამ ბუმბერაზ მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაშუშში ხელოვნურათ გამოხვეული გენ! დენიკინი მოისწრაფის, რომ მსოფლიო დემოკრატიის ნაწილი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მებრძოლი დემოკრატია მოსპოს და მით ერთეული ძალისა შეასუსტოს და მოქანცოს. მთელი სიმძიმე ამ ბრძოლისა მშრომელ ხალხის ზურგზე არის ჩამოკიდე-

ბული და ამიტომაც უპირველეს ყოვლისა თვით ამ შრომელმა კლასმა უნდა ეცადოს დაამსხვრიოს ეს მძიმე ბორკილები და უკანასკნელ სამშვიდობოზე გავიდეს.

დღევანდელ პატარა რესპუბლიკათა დემოკრატიამ ხელი-ხელს უნდა გადახვიოს და შეერთებული, ერთ სულოვნათ, არამც თუ თავი უნდა დაიცვას მომხთურისაგან, აოამედ თვით უნდა გადვიდეს შეტევაზე და მანამდე ზდიოს მტერს ფეხდაფეხ, სანამ მის შავრაზმულ ძალას ძირიანფესვიანათ არ აღმოფხვრავს. ადერბეიჯანის მთავრობა, რომელიც ხან-ბეგების შეკრებილებაა და მათი ნებისყოფის გამომხატველია, უძლიურია დაუხვდეს დენიკინს, რადგან ბაქოს პროლეტარიატი უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს მისთვის ვიდრე მოხალისეთა ჯარი, თუ მთავრობას ეროვნული გრძნობა აშორებს დენიკინისაგან, სამაგიეროთ სოციალური მდგომარეობა - მისწრაფება აერთებს და უკანასკნელი ხომ ბურჟუაზიისათვის უფრო დიდი „დენიკინია“ ვიდრე თვით დენიკინი.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვამბობთ ადერბეიჯანი დაიკავს თავის სუვერენებასო, ჩვენ სახეში გვაქვს მისი დემოკრატია სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ჩვენ გვწამს, რომ ბაქოს პროლეტარიატი ცოცხალი არ დანებდა დენიკინს და შესაფერ პასუხსაც გასცემს. ჩვენ არც მეორე რესპუბლიკა გვავიწყდება, ეს სომხეთია. ჩვენ ვერ ვახსენებთ სომხეთის დემოკრატიას, რადგან ეს მას არა ყავს, არა თავისი სოციალური მდგომარეობით, არამედ თვით ამ სიტყვის შეგნებით და ამ სომხეთისაგან საიდანაც სჩანს თითქოს იქ ხატისოვკაჩაზუნის მეტი არავინ იყოს, ჩვენი დემოკრატია არ უნდა მოელოდეს არავითარ დახმარებას და პირიქით გულახდილათ უნდა ვსთქვათ, რომ როდესაც ადერბეიჯან-საქართველოს დემოკრატიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ექნება მტერთან, სომხეთის დემოკრატია, რომელმაც თავისი მდგომარეობითი სახე დაკარგა, მოღალატურ ხელს არ იშიშვლებს და დეკემბრის ისტორიას არ გაგვიმეორებს. ამას ჩვენ ყოველთვის უნდა მოველოდეთ და მზათაც უნდა ვიყოთ, რომ იქაც არ გამოჩნდენ პატარა „დენიკინები“! რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიას, ჩვენ იმედი გვაქვს ის გაამართლებს იმ იმედებს, რასაც მასზე ჰეშმარიტი სოციალისტები ამყარებენ, და განმეორდება ისტორიული შემთხვევები, საქართველოს ერს მრავალჯერ უხსნია მეზობელი ერები დაღუპვისაგან, მრავალჯერ ხვედრია წილათ მათი პატრონობა და შეიძლება დღესაც საქართველოს ფხიზელ დემოკრატიას კიდევ ერთხელ მოუხდეს პატრონობა ამიერკავკასიის დემოკრატიისა.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ საქართველოს დემოკრატიის სულიერ სიძლიერეში, რომელიც ერთი უდიდესი პირობაა გამარჯვებისა, ყოველ შემთხვევაში საქართველოს დემოკრატია ჩვენი ღრმა რწმენით სახელოვან სიკვდილს ამჯობინებს ვიდრე უძრახ სიცოცხლეს. ჩვენც გამსჭვალული ამ იმედით მასთან ვართ და მთელ ჩვენ ენერგიას მის წმინდა სამსხვერპლოზე მივიტანთ.

დათიკო ვ.

ჩვენი კონფერენცია.

მიმდინარე წლის აპრილის 6-ს ტფილისში შესდგა ჩვენი მიმართულების პირველი კონფერენცია, რომელმაც ჩამოაყალიბა და დაადასტურა ჩვენი მრწამსის მთავარი პრინციპები და გამოიტანა რეზოლიუციები მოხსენებისა მომენტსა და ტაქტიკის შესახებ. მუშაობა ერთ კვირემდის გაგრძელდა და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ახალ საქმეს, რომელიც ჩვენმა ჯგუფმა იკისრა, მუშაობა კონფერენციის ნაყოფიერი იყო.

ამ ნომერში ვათავსებთ კონფერენციის რეზოლიუციებსა და დადგენილებებს

მუშაობის წესრიგს.

1) რეგლამენტის დამტკიცება და პრეზიდიუმის არჩევნები.

2) მისალმებანი.

3) არჩევა სამანდატო და საპროგრამო კომისიების.

4) მოხსენებები ადგილებიდან.

5) მოხსენება მთავარ კომიტ. წარმომადგენელისა და ამხ, სერგო გერსამიასი გამოყოფის შესახებ.

6) მოხსენება მთავარ პრინციპებზე (ალ. წერეთელი და ბ. ქელბაქიანი).

7) ტაქტიკა (ჯანდიერი).

8) მომენტი და ტაქტიკა (ვარაზაშვილი და ბესო ქელბაქიანი).

9) პრაქტიკული მუშაობა (ვარაზაშვილი და გიორგი ჯანდიერი).

10) პარტიებისადმი დამოკიდებულება (ბ. ქელბაქიანი).

11) პარტიის წესდება (ი. ვარაზაშვილი).

12) სამხედრო ორგანიზაცია (ლევავა).

13) გაზეთის ფინანსიური მდგომარეობა (ბაქრაძე).

14) მოხსენება სახალხო ხელოვნებაზე (ქურხული და ფრანგიშვილი).

14) პროგრამის განხილვა, დევიზი და პარტიის სახელი.

16) არჩევნები.

17) მიმდინარე საკითხები.

გამოყოფის შესახებ

საქართ. მაშვრალთა პარტიის პირველმა კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ამხ. სერგო გერსამიასი ჩვენი ჯგუფის სოც-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიიდან გამოყოფის შესახებ და კამათი ამის თაობაზე და მიიღო რა მხედველობაში, რომ ხსენებული პარტია სამწუხაროდ თავიდანვე ასცდა იმ სწორ გზას და პრინციპებს, რომელიც ედვა მას საფუძვლად სოციალიზმ-ფედერალიზმის სახით, რის გამო პარტიაში ყოველთვის სწარმოებდა ბრძოლა სოციალისტურ ფედერალიზმისა და ბურჟუაზიულ ფედერალიზმის შორის, რასაც შედეგად მოჰყვა პარტიის განხეთქილება ჯერ კიდევ 1907 წელს; და რასაც სასტიკად ებრძოდა სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგი ჩვენი არჩილ ჯორჯაძე, და აგრეთვე კონფერენცია დარწმუნდა რა საბოლოოდ, რომ შეუძლებელია ხსენებული პარტიის მოქმედების გეზის შეცვლა შიგნით ბრძოლით და ოპოზიციის წარმოებით, დაადგინა: დადასტურებულ იქნეს მაშვრალთა ჯგუფის ინიციატორთა გადადგმული ნაბიჯი პარტიიდან გამოყოფისა და ცალკე, დამოუკიდებელ ორგანიზაციის დაარსების შესახებ.

დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ

საქართველოს მაშვრალთა პარტიის პირველმა კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება, დროებითი მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ, ადასტურებს მთავად კომიღეტს იმ მუშაობისათვის, რომელიც მას მიუძღვის.

მუშაობის შესახებ

საქ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიის პირველმა კონფერენციამ მოისმინა მოხსენებანი პარტიის სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და აღნიშნავს:

1) ორგანიზაციულ მუშაობას ყველგან ხელს უშლიდა საერთო პირობები ჩვენი ჯგუფის გამოსვლისა, უსახსრობა უბინაობა, დაბალი ხარისხის დევნა და გინება და სხვ.

2) სასიხარულოა ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიის ორგანიზაციბბის გარშემო თავს იყრის სწორედ ის ელემენტი, მხოლოდ რომელსაც შეუძლია შრომის საბოლოო განთავისუფლება.

3) მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა ჩვენ ორგანიზაციებს გადაულახავთ ყოველგვარი შემაფერხებელი მოვლენა და უწარმოებიათ სათანადო მუშაობა.

4) ახალი, ჰეშმარიტად სოციალისტური მიმართულების ზრდა კონფერენციას არწმუნებს იმაში, რომ მაშვრალთა პარტია საღ გზას დაადგა.

5) აღნიშნავს რა ამ სასიხარულო მოვლენას კონფერენცია გადადის მორიგ საკითხებზე.

მთავარ პრინციპების შესახებ

საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიის პირველმა კონფერენციამ მოისმინა მოხსენებანი ალექსანდრე წერეთლისა და ბესო ქელბაქიანისა ძირითადი პრინციპების თაობაზე და კამათი ამის შესახებ და გადაჭრით აღიარებს:

1) რომ მაშვრალთა განთავისუფლება მხოლოდ მაშვრალთა საქმეა.

2) რომ მხოლოდ სოფლისა და ქალაქის მუშა ხალხის დამოუკიდებელ მოქმედებასა და მის რევოლიუციონურ შემოქმედებაზეა დამოკიდებული მომავალი დიდი გარდაქმნა სოციალური ცხოვრებისა;

3) რომ ეს მოძრაობა უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოს ძალა-უფლებისა და კანონმდებლობის გარეშე, ვინაიდან სახელმწიფო, როგორც აღმოცენებული კერძო საკუთრების ინსტიტუტზე და დამცველი ეკონომიურად გაბატონებული კლასების ინტერესებისა, ვერ გამოდგება სოციალისტური წყობილების შემქმნელ ძალად და ამიტომ მუშათა კლასი თავის რევოლიუციონურ შემოქმედებაში სახელმწიფოს პრინციპიალურად უარჰყოფს.

3) რომ სოდიალისტური წყობილების დამყარება მოასწავებს კლასთა ბრძოლის მოსპობას და საზოგადოების აგებას სულ ახალ საფუძველზე, რომლის გარეგანი ფორმა ორგანიზაციისა იქნება თავისუფალი კავშირი კომუნათა, ამიტომ მომავალშიაც სახელმწიფო ყოველგვარი სახისა მიუღებელია,

და 5) რომ მიზნის განხორციელება შეუძლია მხოლოდ მუშათა თავისუფალ კავშირებს, რევოლიუციონურ სინდიკალისტებს, როგორც სოფლად ისე ქალაქად. რომლებიც ახლავე, თანამედროვე ცხოვრებაში წარმოადგენენ მომავალი სოციალისტური წესწყობილების ძირითად ელემენტებს, რომლებზედაც უნდა აშენდეს ახალი საზოგადოებრიაი ურთიერთობა და დაადგინა: მოსმენილი მოხსენებანი და პროგრამის პროექტი საფუძვლად დაედვას კავშირის პროგრამას, რომლის შემუშავება დაევალოს განსაკუთრებულ კომისას.

(შემდეგი იქნება)

მსოფლიოს მუშათა მოძრაობა.

კანადიდან გაზეთების ცნობით, დასავლეთის მუშათა კონვენტი, რომელიც მოწოდებულია მთლიან მუშურ დიდი სინდიკატის შესაქმნელად ესალმება კანადის დასავლეთ პროვინციებს. მოუემ თავმჯდომარემ კანადის ყველა მუშათა სინდიკალისტურ სახელმძღვანელო კომიტეტების სთქვა; მუშა დელეგატების ყრილობამ კოლგარში სურვილი გამოსთქვა ერთ დიდ მთლიან მუშურ სინდიკატის შესაქმნელად.

— —

გაზეთ „ფედერაციონისტი“ ბრიტანეთის კოლუმბიისა, ორგანო ბანკუვერსკის მუშების შრომის ფედერალურ კომიტეტის სწერს: სინდიკალისტები გრძნობენ, რომ მუშის შრომა რაგინდ სათანადოდ ჯილდოვდებოდეს კაპიტალისტურ ხანაში იგი მაინც მონური მდგომარეობას ჰქმნის. რომ მუშებმა შესძლონ ცხოვრება ისე როგორც ეს მათ უნდათ, ისარგებლონ თავიანთი შრომის ნაყოფით, ისინი უეჭველად კლასიურ პრინციპის საფუძველზე უნდა შეერთდენ!..

— —

გაზეთი „ვესტრ-ლებორ-ნიუსი“ ვინნიპეგიის მუშათა კომიტეტის სწერს იდეა მრეწველობის სოციალიზმისა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. მთელი მრეწველობა ახლო მომავალში უეჭველად ხელში უნდა ჩაიგდოს მუშათა კლასმა.

რევოლიუციონური მღელვარეგა ისპანიაში.

ისპანიის ყოველ კუთხიდან მოისმის დრტვინვა და უკმაყოფილება, მთელს ისპანიაში საშინელის სისწრაფით იზრდებიან გაფიცვები და დემონსტრაციები. ხელფასის სიმცირე, ცხოვრების გაძვირება, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა, იარაღით ჩაქრობა გაფიცვების, დემონსტრანტების მასსიური დახვრეტა და რეპრესიები მეტად ამწვავებენ უკმაყოფილებას, რაიც უკიდურესობამდე აღწევს. ისპანია სამოქალაქო ომის წუთებს განიცდის. მთავარი ბინა სინდიკალისტების ორგანიზაციებისა ამტკიცებენ ძლიერ მუშურ მოძრაობას.

— —

ბარცელონიის სინდიკალისტებს განზრახვა აქვთ ხელში ჩაიგდონ (გამოტოვებულია) ნაპირების მუშათა ორგანიზაციამ გადასწყვიტა გამოაცხადოს გაფიცვა, როგორც კი გაფიცვის ფონდს შექმნიან. მომავალ მოძრაობის სიდიადეს ამტკიცებს ის ფაქტებიც კი, რომ სინდიკალისტებმა (?) თვის განმავლობაში გააჩაღეს ტეროორი, რასაც შედეგად მოყვა სამოცდა ათი ფაბრიკის დირექტორების დახოცვა. („ნ.“).

— —

გაფიცვები რომში

რომის გაფიცვები სასურველად ჩატარდა.

გაზეთი „ავანტი“ 11 აპრილს თარიღით სწერს: „რომს ჯერ არ უნახავს ასეთი დიდი გაფიცვაო.“ ქალაქი სდუმდა, მაღაზიები დაკეტილი იყო, პოლიციამ დემონსტრატები გაჰფანტა ასტურ ველა დამატო და დელა სეტა დაიპირეს, მაგრამ საღამოს გაუშვეს.

ინგლისის მუშების პროტესტი.

სამთა კავშირის კრებამ საუტკორტში მიიღო რეზოლიუცია სადაც პროტესტს აცხადებს რუსეთის საქმეებში ჩარევის შესახებ კავშირმა გადასწყვიტა მოიწვიოს ტრედ—უნიონთა კონფერენცია და აიძულოს მთავრობა, რომ კანონი უკან წაიღოს.

— —

მთავრობის პროვოკაცია

საფრანგეთის ერთ სოციალისტურ გაზეთში, რომელიც საფრანგეთის სინდიკალისტ მუშების ნების ყოფის გამომხატველია შემდეგს ვათავსებთ „ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, რომ მთავრობა, მიუხედავათ დაპირებისა, მაინც [illegible] შეიარაღებული [illegible] ჩვენი მთავრობა ჯარს გზავნის ყველგან—რუსეთში, ბალკანეთში, ავსტრიაში, ბოგემიაზი, კმკასიაში და სხვ. კლემანსოს სურს მთელი ევროპის და აზიის ოკუპაცია, მას სურს შეაჩეროს მობილიზაცია, მას დაბრუნებულ მეომრებისაგან სურს შექმნას ანდარმერია კაპიტალიზმისა, დეპუტატი სოციალისტები მოუწოდებენ ჯარს აჯანყებისაკენ, საფრანგეთის მთავრობამ, მის მაგივრათ რომ ფოსტის მოსამსახურეების დემობილიზაცია მოეღინა, ისინი პირველ ჩინით დააჯილდოვა და შორეულ ქვეყნებში გაისტუმრა.

— —

თუ ჯარი აჯანყდა, კლემანსოს შეუძლია სთქვას, რომ მან ქნა ყველაფერი საამისოთ, თუ კი რამე შეიძლებოდა.

— —

საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქებში მუშათა დიდი მოძრაობაა.

კრიტიკული მომენტი

ინგლისური ცნობები.

იწყება უდიდესი კრიტიკული მომენტი საზავო კონფერენციისა, კლემანსო, როგორც ეტყობა ერთ იოტსაც არ დასთმობს თავის მოთხოვნილებისაგან და იბრძოლებს უკანასკნელ შეძლებამდის ყველას წინააღმდეგ, ვინც მოითხოვს პირობათა გადათვალიერებას, ყველაფერი ეს მაჩვენებელია ბრძოლისა კლემანსოს და ვილსონ-ლოიდ-ჯორჯ შორის გერმანელები გაფაციცებით ყურს ადევნებენ ყოველივე ამას და ცდილობენ ეს ბრძოლა თავის სასარგებლოთ გამოიყენონ. ინგლისელები მხარს უჭერენ ვილსონს პირობების გადახილვის მოთხოვნილებაში.

ომი და რევოლიუცია.

მსოფლიო ომს მოყვა ის, ოის აუცილებლობას ამტკიცებდენ სინდიკალისტები: მსოფლიო რევოლიცია.

მაშინ, ოდეს გ. ერვე ამტკიცებდა ანტი-მილიტარისტულ ქადაგების საჭიროებას, სოციალ-პარლამენტარისტები, შოვინისტებ, ბურჟუა-დემოკრატები და სხვა ჯურის მატყუარა სოციალისტები კბილთა ღრეჭნით დაცინვით და ზიზღით უცქერდენ ასეთ მუშურ პროპაგანდას. იმპერიალისტურ, მილიტარისტულ კლერიკალურ ქადაგებას უნდა დაუპირდაპიროთ ანტიმილიტარისტული რევოლიუციონური პროპაგანდაო, დარაზმვა ინტერნაციონალური პროლეტარიატისა სოციალ-რევოლიუციის დროშის ქვეშ და განმტკიცება რევოლიუციონური მუშათა სოლიდარობისა. მილიტარისტულ-იმპერიალისტურ ომს უნდა დაუპირდაპიროთ სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილ თავიდან ფეხებამდინ შეიარაღებულ პროლეტართა საყოველთაო გაფიცვა. ასეთია ფრიად მოხდენილი ტაქტიკა გულწრფელ სოციალისტებისა, რომელსაც ისინი აყენებენ საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობაში.

მაგრამ ცხადია თუ როგორ შეხვდებოდენ საზოგადოდ იმპერიალისტური და პატრიოტული სულით გაჟღენთილი სოციალისტები ასეთ

ახალ საშუალებებს პროლეტარულ ბრძოლისას.

მათ კარგად ქონდათ წარმოდგენილი და გათვალისწინებული, რომ ასეთი ტაქტიკა მოასწავებდა სოციალურ-კომინისტურ რევოლიუციას.

რასაკვირველია ყოვლის პირველად სოც.-დემოკრატიამ დაგმო ის. მაგრამ გმობა გმობათ დარჩა. სინამდვილემ სულ სხვა რამ დაგვანახა.

გაჩაღდა მსოფლიო ომი; მან დაგვანახა შავი და თეთრი კანი იმ გმირებისა, რომლებმაც მონოპოლიად გაიხადეს სახელი მუშათა პარტიისა. ისინი ბურჟუაზიასთან ერთად გერმანიის პროლეტარიატს ებრძოდენ. გერმანიის ბურჟუაზიული სოციალისტები — საფრანგეთის პროლეტარიატს, ინგლისის ტრედ-უნიონისტები გერმანიის პროლეტარიატს, ასე და ამგვარად გასწყვიტეს შემაერთებელი ძაფი საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობისა და გამეფდა ძმათა-პროლეტართა სისხლის ღვრა.

აქედან დაიწყო ღალატი სოციალისტებისა; ინტერნაციონალიზმი და სოციალიზმი განსაცდელში ჩავარდა. მაგრამ მისი ერთხელ დამცველი მუშათა კლასი აგროვებდა ენერგიას, შეგნებულ ძალებს დიადი აქტის შესრულებლად.

და აჰა ინტერნაციონალურ პროლეტარიატმა დაჰკრა ბასრი ხმალი საუკუნოებით განმტკიცებულ დესპოტიურ რუსეთის სახელმწიფოს: მართლაც ფარაჯაში გამოწყობილმა პროლეტარიატმა საერთო რევოლიუციის ცეცხლი დაანთო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველგან და ყოველთვის სოციალურ რევოლიუციის შინაარს უნდა შეადგენდეს: 1) დანგრევა ძველისა—შობა ახალისა, 2) მოსპობა ავტორიტეტისა—სახელმწიფოსა — აღმოცენება სრული თავისუფლებისა. მოსპობა სოციალური უთანასწორობისა, აღმოცენება თავასუფალ ინდივიდთა ასოციაციისა და დამყარება თავისუფალ კომუნიზმისა. რუსეთის რევოლიუციაც რამოდენიმეთ ამ გზას, ამ პრინციპებს დაადგა; წინააღმდეგ შემთხვევაში ის რევოლიუცია კი არ იქმნებოდა არამედ უბრალო გადაჯგუფებ-გადმოჯგუფება პარლამენტის და სახელმწიფოს დაწესებულებათა სკამებზე ბურჟუაზიისა და პოლიტიკურ პარტიათა შორის. ამას მოყვებოდა ჩვეულებრივად და ძველებურად „ახალი“ რეფორმები, კანონები და „წესიერების“ დამყარება. აი ამას ეძახიან სოციალისტის ქურქში გახვეული პოლიტიკური პარტიები რევოლიუციას.

რევოლიუციის დროს ვერავითარი პარტია ვერ აკმაყოფილებს რევოლიუციის მსვლელობას. აქტიური შემოქმედათ რევოლიუციისა პროლეტარიატი ითვლება. პროლეტარიატი და რევოლიუცია, რევოლიუცია და პროლეტარიატი აი ორი უმთავრესი დაუშორებელი ძალები კაცობრიობის ისტორიის ბრძოლის წინმსვლელობისა. პროლეტარიატი მიისწრაფვის სოციალურ რევოლიუციისაკენ; რევოლიუცია უარყოფაა დანგრევაა არსებული უფლებისა, წესწყობილებისა. ყველა პოლიტიკურ ჯურის პარტიები კი მიესწრაფიან პროლეტარიატის მიერ დანგრეულ წესწყობილების გამოყენებას თავის სასარგებლოთ და სცდილობენ ის ჩაიგდონ ხელში. ამას მოყვემა ხოლმე რევოლიუციის შეჩერება, „წესიერების“ აღდგენა, რევოლიუციის დამარცხება. მაშასადამე ცხადია პოლიტიკური პარტიები იყოს ის თუგინდ კოციალისტურ ტყავში გახვეული სონსერვატიულ ძალას წარმოადგენს რევოლიუციაში და მას როგორც ასეთს არავითარი ალაგი არ უნდა ეთმობოდეს პროლეტარულ-სოციალურ რევოლიუციაში.

რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ადრე და საუცხოოდ გაითვალისწინა ეს მოვლენა და რევოლიუციის ძირშივე ნულამდის დაიყვანა პოლიტიკურ პარტიათა მნიშვნელობა და როლი.

მაშინ, ოდეს რევოლიუცია ღრმავდებოდა და თავის ლოლიკურ დასკვნისაკენ მიექანებოდა ბურჟუაზიამ და მათმა მოკავშირე სოციალისტებმა დაიკავეს სახელმწიფოს მიტოვებული სკამები და აბოჭეს გაფანტული ადამიანის სულის შემხუთავი კანონებით ავსილი პორთფელები.

მაშინ, ოდეს რევოლიუციონური პროლეტარიატი გერმანია-ავსტრიის ფრონტზე სოციალიზმის დროშით ხელში მუშათა სოლიდარობა-ერთობას ქადაგებდა, კერენსკი და მისი ამყოლ-დამყოლი სოციალისტები ძველი დესპოტიური გენერლებივით დისციპლინას ამყარებდენ და „პრიკაზებს“ სცემდენ, რომ ჯარები შეტევაზე გადასულიყო. ამას ეძახიან მატყუარა სოციალისტები რევოლიუციონურ დისციპლინას. სასაცილოა და თან აღმაშფოთებელია ასეთი ორი შეურიგებელი მცნების ერთმანეთში არევა დისციპლინა-თავისუფლების საპყრობილეა, რევოლიუცია კი თავისუფლების-დისციპლინის ბორკილებიდან განთავისუფლებაა. დისციპლინა-სახრჩობელაა პიროვნებისა და კაცობრიობისათვის; დისციპლინა უარყოფაა თავისუფლებისა, რევოლიუცია კი უარყოფაა დესპოტიური დისპლინისა. ამდაგვარათ პსევდოდ-სოციალისტებმა დისციპლინა რევოლიუციის წითელ სამოსელში გახვიეს და მოუწოდებდნენ რევოლიუციონურ პროლეტარიატს დაეცვათ რევოლიუციონური დისციპლინა. ასეთი იყო იარაღი ბურჟუაზიისა და მათი მოკავშირე სოციალისტებისა „წესიერების“ აღსადგენათ და რევოლიუციის ჩასაქრობათ.

მაგრამ რუსეთის ბროლეტარიატმა ამ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუა-სოციალისტურ იარაღსაც სძლო. რუსეთის სოციალისტურ მუშათა კლასნათლად ქონდა შეგნებული ის უმთავრესი შეცდომები, რომელიც მსოფლო მუშათა კლასის ავანგარდმა საფრანგეთის პროლეტარიატმა დაუშვა მის მიერ მოწყობილ მრავალ რევოლიუციებში.

რევოლიუციამ გააღრმავა მუშათა კლასის შემეცნება-შეგნება. მან გაუხსნა კაცობრიობის ისტორიის კარები რევოლიუციონურ პროლეტარიატს და დაარწმუნა, რომ პარლამენტარიზმი, რეფორმიზმი და საზოგადოთ სახელმწიფოუზენაესი ორგანიცია ბურჟუაზიისა მკვლელია მუშათა კლასის მოძრაობისა, მკვლელია რევოლიუციისა, უზარმაზარი ცახცახ — ბასტილიის ადამიანისა თავისუფალ აზრ-ბაგნ-ბისა, თავისუფალი იდეისა.

დიახ, რუსეთის პროლეტარიატს კარგად ქონდა შეგნებული. მას ღრმად სწამდა და სწამს დღესაც, რომ მსოფლიო ომს რომელიც გამოწვეულია იმპერიალისტური, მილიტარისტული, ბურჟუა-კაპიტალისტური სახელმწიფოთა მიერ მოსპობს მხოლოდ მსოფლიოს გამწმენდელი საერთაშორისო პროლეტარული კომუნისტური რევოლიუცია, იდვა თავს რუსეთის რევოლიუციონურმა კომუნისტურმა მუშათა კლასმა.

რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა პირველმა გაბედულად აღმართა პარიჟის კომუნისტების თავისუფალი კომუნისტური დროშა ზედწარწერით: **სიკვდილი ხიკვდილს, გაუმარჯოს თავისუფალ სიცოცხლეს.**

ღამე მთაში.

ღამე არის მის წყვდიმდში ქაჯთა ხროვა იკრიბება,
ცეკვაობენ ხტუბაობენ გულზე ვარდი ეფინებათ.
იქ ღამეა და ბნელაა შიში აღარ ევლინებათ,
ტყე არის, ღამე არის არვის აღარ ერიდებათ.
ტყის მფლობელი ქაჯი არის და იმზადებს ბინაგრობას,
ქაჯთ სამეფო აღადგინოს ქაჯთა ერის მთლიანობა.
გულმომკვლავი ხმა ისმის ხტუნაობენ ცეკვაობენ,
ტყე წყვდიადს დაუფარავს და შიგ ქაჯნი ღმერთაობენ.
მხოლოდ როცა განთიადმა იწყო ცაში გამოჩენა,
ყველა გაჰქრა გაიპარა მორჩა ქაჯთა წარმოდგენა.

— —

გათენდა და იმავ ტყეში, მუშა იყო მუშაობდა,
ყველა გაჰქრა გაიპარა ვინც ღამით სარგებლობდა,
შედით ყველამ ტყე გაკაფეთ მოსპეთ ქაჯთა ბინაგრობა,
და მის ნიცვლად აღადგინეთ ხალხოსნური მთლიანობა.

ჯარის-კაცი **ჯიმშელეიშვილი.**

აი რა იყო და რა არის დღესაც რევოლიუციის საერთო ტენდენცია.

სოციალისტ-პლუტო-დემოკრატების პოლიტიკა დაიმსხვრა: სოციალურ რევოლიუციის ალის მზისებურ მჭრელი სხივებს ვერ გაუმაგრეს ცბიერი თვალები ბურჟუაზიულმა, ბურჟუა-სოციალისტურმა, არისტოკრატიულ - სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ პარტიებმა.

ახალი თავისუფალი ინტერნაციონალური კომუნიზმის ბრწყინვალე შუქმა დაუკარგა მათ სოციალისტური ფსიმხედველობა და რაკი ვერ შესძლეს „კაჩეგრობა“ სოციალური მანქანისა, მრავალი მათგანი რევოლიუციის ცეცხლის ალში გაქრნენ, ზოგნი რევოლიუციის აზვირთებულ ტალღებმა შთანთქეს, ზოგნი კი **перебежку в одиночку и взводами в сторону реакции*** ეწეოდენ და განაგრძობენ დღესაც თავისი მოღალატობრივი იუდისებური მოღვაწეობას დენიკინის და კოლჩაკის შავრაზმულ რეაქციონურ ვანდელების ბანაკში.

მხოლოდ ნაწილმა პოლიტიკურ პარტიებმა, სოც.-დემოკრატების ნაწილმა ეგრედწოდებულ „ბოლეშევიკებმა“ რაკი დაინახეს; რომ რევოლიუცია მათ წინ უსწრებს, რაკი დარწმუნდენ, რომ რევოლიუცია არ ემორჩილება „რკინის კანონებს“ და ამა თუ იმ გაღმერთებულ პიროვნებების ეკონომიური თეორიას, ამჯობინეს, რომ რევოლიუციის ასპარეზიდან არ გამქრალიყვნენ, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სოციალურ რევოლიუციის მსვლელობაში. მართლაც იმათ მოსწრებულად მოახდინეს ეს და თავისი თავი კომუნისტურ პარტიათ გამოაცხადეს. ჩვენ აქ ჯარ გამოუდგებით განმარტებას იმისას თუ როგორია მათი კომუნიზმი და შეეფარდება ის თუ არა პროლეტარულ რევოლიუციონურ კომუნიზმს.

ასე თუ ისე იმათმა სოციალურ რევოლიუციის მეორე დღეს რევოლიუციას თავისებური წერტილი დაუსვეს. მაგრამ ვერავითარი წერტილი და საზღვარი ვერ შეაჩერებს ერთხელ აბობოქრებულ ძლევა მოსილ ტალღებს. მრავალს რუსეთის რევოლიუცია ვიწროთ ჰქონდათ წარმოდგენილი და ჩვენი ბუმბერეზი მენშევიკები დარწმუნებული იყვენ და არიან დღესაც რომ ის დამარცხდება.

პირიქით რუსეთის სოციალური რევოლიუციამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო, ის დიდ მსოფლიო ასპარეზს იჭერს და თვალის დახახამების სისწრაფით ედება რევოლიუციის ალი დამპალ და საუკუნოებით გამხმარ დახავსებულ ბურჟუა-კაპიტალისტთა საბუდარ სახელმწიფოებს.

გერმანიის რევოლიუციის ალში ისმის წივილი ომის ღმერთისა—მილიტარიზმისა, ავსტრია-უნგრეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი სწვავს ვეშაპ იმპერიალიზმს.

ამ ბოლო ხანებში საფრანგეთის, იტალიის და საზოგადოთ მთელი ლათინთა ქვეყნის ძველი გაწვრთნილი რევოლიუციონური პროლეტარები, ავანგარდი მუშათა მოძრაობისა, მოწაფენი დაუღალავი რევოლიუციონერი ბაკუნინისა, იარაღდება, ის ჩამორეკს რა ზარს მსოფლიო მუშათა რევოლიუციისას, ერთხელ და სამუდამოდ ჩასცემს ლახვარს მსოფლიო ომს, საერთაშორისო ბურჟუაზიას, კაპიტალიზმს და მონობის ორგანიზაციას—სახელმწიფოს ის ინტერნაციონალური რევოლიუციონური მუშათა კლასი ევროპისა. ამერიკისა მიიყვანს კომუნისტურ დასკვნამდე. გამარჯვებული შრომა, ბორკილ აყრილი პროლეტარიატი, განთავისუფლებული კაცობრიობა და ევოლიუციის ფაქტორი ინდივიდი—ადამიაგი იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას კომუნიზმის დროშის ქვეშ.

მაშ გაუმარჯოს ინტერნაციონალურ კომუნისტურ რევოლიუციას.

იანეთელი პროლეტარი.

მეც შენთან!..

(ესკიზი)

სოფელი ტანცულისეული უიმედოდ გამოიყურებოდა,.. ის ისე დაღვრემილიყო, ასე ¡გეგონებოდა კარგი არა მოელის .რაო... საერთო სიჩუმეს მთელი სოფელი გულში ჩაეკრა და სადღაც შორს, შორს იტაცებდა... ვინ იცის რის მოწამე არ იყო ეს სოფელი, მაგრამ დღეს კი მთლად სევდით დასერილიყო... ირგვლივ გულის მოკვლელი სიჩუმე სუფევდა... ყველგან სევდა და კაეშანი გამეფებულიყო,.. მთელი ბუნება გლოვის ზარს მოეცო და ყველა ღა ყველაფერი სტიროდა... კვნესოდა... ცის ტატნოები კუპრივით შავ ღრუბლებს დაეჭირა... ის ისე მედიდურად გამოიყურებოდა თითქო მთელ ქვეყანას განადგურებას უქადისო...

უცებ მეხი გავარდა და მას შეუბრალებელი კოკისპირული წვიმაც მოჰყვა ..

დაუდობელი ქარ-ბუქი ყველაფერს მხეცურად ეხეთქებოდა და დაუზოგველად ანადგურებდა... თავზარდაცემული ხალხი გზა-აბნეული გარბოდა... ბავშების წივილ-კივილი, მოხუცების და დედების მოთქმა-გოდება ყველაფერს აზანზარებდა...

ყველა ულრან ტყისაკენ გარბოდა თავის შესაფარებლად...

ასე უცაბედად ქვეყნის განადგურება ყველას აფრთხობდა... აშინებდა...

სოფელი იცლებოდა...

ქუჩა იცრემლებოდა...

ყველაფერი პარტახტებოდა...

დედა შვილს ეძებდა... შვილი დედას... ყველა გარბოდა... მხოლოდ ჯანღონით სავსე ახალგაზდები აქა-იქ ჯგუფდებოდენ... თავს იყრიდენ... მათ გადაეწყვიტა შეხვედრა ქვეყნის განმანადგურებელისა... დაუხდობელი გველეშაპი ... ...

ქუთაისის ქალაქის გამგეობის საყურადღებოთ.

ყველასათვის ცხადია, რომ ქუთაისი არ არის დიდი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი, აქ არის მხოლოდ ორი ელექტრონის სტანცია და ორიოდე კიდევ სხვა პატარა ქარხნები, სადაც მუშათა რიცხვი არ აღემატება თუთხმეტ კაცს, რაც შეეხება ვაჭრობას—აქ მხ ლოდ უმწვერვალესად განვითარებულ სპეკულიაციასთან გვაქვს საქმე და ამაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში ზედმეტია. საზოგადოთ დღეს სპეკულიაციამ ისეთი სახე მიიღო, რომ მასთან ბრძოლა იმ მეთოდით, რომელსაც ჩვენში აწარმოებენ ყოვლად მიზანშეუწონელია და ჩვენ შეგვიძლია თავი დავახწიოთ მათ კლანჭებიდან მხოლოდ უაღრესად გადაჭრილი და რადიკალური ზომებით, რაც შესაძლებელია არც შედიოდეს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის კომპეტენციაში და ვერც მოვსთხოვთ მათ ამას, მაგრამ რაც შეეხება იმ აშკარა **უაჩალობას**, რომელსაც ზოგი მეტად „პატივცემულ“ პირები, ქალიქის მამების და სოციალისტების ქურქით მოვლინებულნი, სჩადიან ყოვლად დაუშვებელია და ქალაქის გამგეობის მხრივ ამ შემთხვევაში უყურადღებობა დანაშაულობამდე აღწევს და მე მსურს ამ პატარა წერილით ქალაქის თვითმართველობის ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას:

ეს რამდენიმე ხანია შავი სახადი პარტახტიანი ტიფი მუსრს ავლებს მცხოვრებლებს და ერთად ერთ აუცილებელ საშუალებათაგანათ მის წინაალმდეგ მიჩნეულია ყინული, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ თოვლი წელს ჩვენში სრულიად არ მოსულა და ამიტომ მთელი გუბერნია ქუთაისის და თვით ქალაქ ქუთაისის მცხოვრებნი იძულებულნი არიან მიმართონ ერთად ერთ ბ-ნ **მიტროფანე ლალიძის** ყინულის ქარხანას, ისიც როგორც სჩვევია „საზოგადო მოღვაწეებს“ და „პატივცემულ მამულიშვილებს“ არ უშვებს შემთხვევას ისარგებლოს შექმნილი მდგომარეობით და ყინულის ფასს დდედღეზე უმატეს და ეს მაშინ, როცა ყინულისთვის საჭირო მასალა მას გასული წლიდან შემონახული აქვს და თუ გასულ წელში ფუთი ყინული ფასობდა სამ მანეთს, დღეს უკვე სამოცი მანეთია და არ ვიცით თუ ხვალ რა ფასი ექნება, თუ მისი გაღვიძებული მადა შეჩერებული არ იქნა. ესევე შეიძლება ითქვას **ელექტრონზედაც**. მიუხედავათ იმისა, რომ ბ-ნ ლალიძეს, მაზუთი ელექტრონის სადგურისთვის გასულ წელში შეძენილი ჯერ კიდევ რამოდენიმე ათასი ფუთი აქვს, ის მაინც დღითი დღე უმატებს ელექტრონის ფას და ეხლა უკვე ერთი კილო ელექტრონის ენერგიისა ოთხ მანეთად ფასობს, ჩვენ არ ვიცით, როგორ უყურებს ამ საკითხს ქალაქის გამგეობა, რადგანაც ეს ყოველივე ბ-ნ ლალიიძს პირად სურვილზე ყოფილა დამოკიდებული, რაც იმითაც მტკიცდება, რომ თუ ისეთ რამეზე, როგორიც არის სოფლის ნაწარმოები ქალაქის მიერ შემუშავებული ნიხრით ელექტრონის ენერგიაზე და ყინულზე ასეთი რამე არ არის, რაც იმის შედეგია თუ, რომ თვით ბ-ნი ლალიძე, როგორც ყოფილი და მომავალი ხმოსანი სარგებლობს ერთგვარი ნაცნობობით და მასთან მას აქვს დამსახურებული სახელი „საზოგადო მოღვაწისა“. ამასთან არ იქნება ინტერეს მოკლებული არც ის გარემოება თუ ისეთ ხელ მოკლე მოქალაქეს, როგორც არის ბ-ნი ლალიძე, რომელმაც ამ ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში სამი სახლი თფილისში შეიძინა და ორი ქუთაისში და რომლის დღევანდელი ქონება ორ სამ მილლიონს მაინც უდრის, ქალაქი აწვდის დაკლებულ ფასეფში თავის ქარხნიდან ფუთობით საპონს და თავის საწყობიდან ათეულ ბოჭკა ცემენტს და სხვ.

ეს ყველა იმის მაჩვენებელია, რომ ქალაქის გამგეობა ვერ აქცევს საჭირო ყურადღებას მცხოვრებლებისთვის მეტად საჭირო საკითხებს ანდა ის შეცდომაში შეყავთ დაინტერესებულ პირთ.

ჩვენ ვათავებთ რა ამ პატარა წერილს ვეკითხებით ქალაქის გამგეობას:

1) იცის თუ არა მან რომ ბ-ნი მ. ლალიძის განკარ ულებაში არის ჯერ კიდევ რამოდენიმე ათასი ფუთი შარშანდელი მაზუთი, რომელიც მას საშულებას აძლევს გაყიდოს ელექტრონის ენერგია არა უმეტეს კილო ერთ მანეთ ნახევრისა და მასთან ყინული არა უმეტეს ფუთი, დღევანდელი ფულის ღირებულების მიხედვით, ხუთი მანეთისა და 1) რა ზომებს ღებულობს რომ ბ-ნ ლალიძის და მისი მზგავსების თავგასულ ყაჩაღობას ბოლო მოუღოს.

უხმო ხმოსანი.

სპეკულიაცია იზრდეგა.

ვისთანაც კი მკონია ლაპარაკი მოსამსახურეებთან სხვა და სხვა დაწესებულებისა, კერძოთ რკინის გზელებისა, უმრავლესობა დამეთანხმება იმაზე, რაც მე მინდა მოგახსენოთ.

კანტორების მოსამსახურეებში სპეკულიაცია იზრდება. აი როგორ:

ძველი რეჟიმის დროს დაჩვეული სპეკულიანტობას, სამნიშვნელო რიცხვი ამხანაგების, ეხლაც განაგრძობენ მას. დილაობით ხშირად იგვიანებენ, სამსახურიდან კი მიდიან თუ ადრე არა დანიშნულ დროზე გვიან მაინც აღარ. ამ **6** საათის განმავლობაში ისე ცუღლუტათ მუშაობენ, რომ ნამდვილ ბუნებით—(და არა სიტყვებით) დემოკრატს გული შეუწუხდება მათი ყურებით, ვინაიდან ის არის მიჩვეული მუშაობას და არა იმათსავით ცუღლუტობას. ამისი დაწვრილებით მოყოლას ჩემის მხრით ვსთვლი მეტად. რასაკვირველია ამნაირი მუშაობით თავის მოვალეობის შესრულება 6 საათში ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ყველას აქვს მინდობილი 6 საათის სამუშაო და არა 4—5, რომ ასე ცუღლუტობით შეასრულოს და ამიტომ სამსახურში ხელ-ახლა მიდიან საღამოობით იმიტომ კი არა, რომ საქმე გააკეთონ (თუ ვისაც თავის მოვალეობის შესრულება უნდა ის ყოველ დღე იმუშავებს სავალდებულო 6 საათს, ისე კი არა, რომ დრო გატარდეს და სახლში წავიდეს, არამედ როგორც ამას მოითხოვს დემოკრატობა და თუ ის დემოკრატი არ არის ის არც უნდა იყოს სამსახურში დაშვებული) არამედ „ვეჩერნი“ მიიღონ. საღამოობითაც ისე მუშაობენ, თუ არ ნაკლებად, როგორც დილაობით, ამასაც ხელს უწყობს ადმინისტრაცია. დილაობით სათანადო ვურადღებას არ აქცევენ მათ თანამსახურეებს და როდესაც ხედავენ, რომ დავალებული საქმე აღნიშნულ დროზე არის შესრულებული მოუწოდებენ ამხანაგ „დემოკრატედს“ (რომელზედაც ზემოთ გვქონდათ ლაპარაკი) მობრძანდენ საღამოობით დასხდნეი სამსახურის ადგილას სამუსაიფოთ (ვინაიდან მათზე ზედამხედველი არ არის დანიშნული) და მიიღონ ეგრედ წოდებული „ვეჩერნიება“. აი სწორეთ ის სიტყვით დემოკრატები, რომლებზედაც გვაქვს ლაპარაკი, ამ მოწოდებას ხმაროობენ ბოროტ-მოქმედებათ. დილის მუშაობის ფასს ჯამაგირს უწოდებენ და ღებულობენ ისე, როგორც სხვა ნამდვილი მუშა-დემოკრატები, რომლებიც მუშაობენ 6 საათას განმავლობაში ისე, როგორც ამას მოითხოვს საქმე და ადამიანური პატიოსნება.

საღამოს მუშაობისას ღებულობენ კიდევ ცალკე. ასე რომ, თუ ნამდვილი მუშა ღებულობს ერთ ჯამაგირს, ის ბოროტმოქმედი—იმ თანამდებობის ასასრულებლათ, რასაც ასრულებს პირველი, დებულობს ორ იმდენს, რამდენსაც ღებულობს პირველი. ამას კი ადმინისტრაცია ყურს არ უგდებს და ამ დროს სპეკულიაცია იზრდება, ვინაიდან მოსამსახურეებს დღევანდელ პირობებში ის ჯამაგირი, რასაც იძლევა დაწესებულება არ ყოფნის, უერთდება იმ ვაჟ-ბატონების ჯიბეს, რომლებიც ღებულობენ 2 ჯამაგირს და ამითი უთხრიან ძირს—ღალატობენ დემოკრატიას. მუშაობენ 6 საათს კი არა 10—11 საათს დღეში.

ამით მოუწოდებ ადამინისტრაციას „ვეჩერნიების“ სახელის გადაკარგვას—ამხანაგ მაუთან ერთათ თანამსახურეებს იქონიონ მხედველობაში 7 საათის სამუშაო დღე და არა 10—11 ს., და თუ იმუშავებენ მარტოთ სამსახურის—ქვეყნის სასარგებლოთ და არა თავისთვის „ვეჩერნიების“ მიღებით.

ამ ჩემ წერილში გამონაკლის შეადგენენ, მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი ამხანაგების, რომლებიც მართლაც სულით და გულით მზათ არიან იმუშაონ არა მარტო დილას და საღამოს არამედ საქმის და უქმი დღეც და ღამეც სამსახურის—ქვეყნის სასარგებლოთ, და არა ჯიბის გასამსებათ.

მიშა კ.

პროვინცია

შავრაზმელ მდგდლის ფინები

სოფ. მათხოჯი (ხონის რაიონი). ყოველ წელს ქელეხითა და დროს ტარებით დღესასწაულობს ეს სოფელი „ოქონობას“.

ამ ბოლო ხანებში ჩვენი კომისარის ამხანაგი, ესტატე ბარაბაძის თაოსნობით ხალხმა თითქმის დაივიწყა ეს დამღუპველი ჩვეულება, რომელიც თითო მოსახლეს ათასი მანათი უჯდებოდა. ასეთი ჩვეულების მიტოვება გულს ულრნდა ჩვენი სოფლის სულიერ მამას ფდ. იოსებ ჩინჩალაძეს. ეს მღვდელი ცნობილია როგორც კუჭისტ და ანგარია ეს მღვდელი სცდილობდა როგორმე აღედგინა დამღუპველი ჩვეულება ხალხში, რომ მით ბევრა საკბილო ლეში შეელებოდა მას. აი, ამ წელში როგორ ხრიკებს მიმართა „წმინდა“ იოსებმა: ვითომ მას გზაზე მიმავალს, მდინარე კუხას პირად მაყლოვანი ბუჩქის ძირას ჩასძინებოდეს. ეს მომხდარა ვითომ სამი დღის წინედ „ოქრნობამდის“. ძილში მას გამოცხადებია წმინდა გიორგი თავისი ზღაპრული ტაიჩით და ეთქვამს მღვდლისათვის: „არ შეშინდე, მე ვარ შენი შემწე წმიდა გიორგი. შენ წმიდა კაცი ხარ და გამოუცხადე ხალხს ჩემი ნება, რომ იგენმა მამა-პაპურად იუქმონ „ოქონობა“. დაკლან დეკეულები, გოჭები და ბატკნები. იქნეს ზეიმი და ღვინის სმა; იქეიფონ სამ დღეს. თუ ამას არ შეასრულებენ დავსჯი გვალვით და ტიფის გაძლიერებით“. მღვდელმა სიზმარი უამბო აგენტებს. საბრალო ხალხი! ბევრი გულუბრყვილო ხალხი წამოეგო ხუცის ანკესზე. ვალათ აღებული ფულებით იყიდეს საკლავები და გამართეს ზეიმი. ასე მოატყვილა ჩინჩალაძემ ხალხი. აი, ასეთი ცრუ-მღვდლების ხელშია დღეს ჩვენი ხალხი. საჭიროა გაიწმინდოს სოფლები ასეთი კუჭისტ ხუცებისაგან. საუბედუროთ ასეთი მღვდლების ჯამაგირების მისამატებლად, როგორც გავიგეთ, პროექტი მზადდება თბილისში. ესენი (მცირეს გამოკლებიდ) პარაზიტებია და ამას უნდა მივქცეს ჯეროვანი ყურადღება. სასჯელი მოზღაპრე მღვდელს! ძირს ცრუ „წინასწარმეტყველი“!.

ვრ—ძე ი—ძე

სოფ. ჯუმათი (გურია). ეს სოფელი მეტათ მდა-გორიანია და ყოველივე მახლობელ დაბაზე და ან ქალაქზე მოწყვეტილი. უგზოობის გამო სოფლიდან ნაწარმოების გატანა და ან შემოტანა უხერხული ხდება.

სამხრეთით მდინარე სუფსის გამო, რომელზედაც ხიდი არ არის, თუმცალა ბევრი იყო დაპირებები. მაგრამ როგორც ეს ყოველთვის აქაც დაპირებათ დარჩა და ხიდის გაყვანა საუკუნიდან საუკუნემდე გადაიდო; ჩრდილოეთით ლანჩხუთში მიმოსვლას ხელს უშლის ნიგოით-ჯუმათის მთები და ამრიგათ ორ რაიონში მომწყვდეული სოფელი უკიდურეს სიღარიბეს განიცდიან ეკონომიის მხრით ამასაც დაუმატოთ გასული წლის მოუსავლობა, მდინარე სუფსის გადიდების გამო, რომლისგან მოყენებული ზარალი 5,000 ფუთს სიმინდს აღემატება. და სოფლის უმრავლესობას თუ დღეს არა ხვალ სარჩო-საბადებელი სულ გამოელევა და გასული წლის უბედურება თავს დაატყდება შიმშილის სახით. ამასთან სოფლათ მძინვარებს ეპიდემიური სახით წინწყლებიანი სახადი. რომლის საწინააღმდეგოთ არავითარი სასტიკი ზომები არ არის მიღებული და არც სამაზრო ერობა უწევს სათანადო დახმარებას. საჭიროა ამ მხრით მიექცეს სოფელს ყურადღება. თორემ მშიერი კუჭი არავის წინაშე პასუხის მგებელი არ არის და თუ ამ ნიადაგზე რაიმე „ექსცესებს“ ადგილი დაურჩება პასუხისგება თვით „ქვეყნის მართველებმა“ იდვას თავს.

ეკონომიურ გაჭირებას ზედ ერთვის პოლიტიკური შეზღუდვა. მთელ საზოგადოების ძალა-უფლება, როგორც ეს ყველგან საქარდველოში, მენშევიკების ორგანიზაციის ხელშია და აქედან ცხადია თუ როგორ იქნება გაბატონებული ადგილობრივი მენშევიკები.

ხშირათ მასსის გადასაჭრელ საკითხს „ორგანიზაცია“-ში სწყვეტენ და მერე მასსის უნებლიეთ მათადმი შეუკითხავათ ცხოვრებაში ატარებენ. ასეთი მენშევიკური მოქმედება დიდს აღელვებას იწვევს მშრომელთა წრეში, მაგრამ „ძალა აღმართსა ხნავს“ აქაც ძალა უნებლიეთ ემორჩილებიან.

ეს კიდევ არაფერი. გაიჩინეს ფარული აგენტები და არა მენშევიკებს ადგილობრივ მთავრობას აბეზღებენ, უკანასკნალი თავის მოვალეობას დაპატიმრებით ასრულებიებს, ასეთ მოქმედებას იანვრის ბოლო რიცხვებში ჰქონდა ადგილი, ადგილობრივ კომუნისტების დატყვევების სახით. აი რაში იყო საქმე: ქართველ-სომხის ომში, აწ განსვენებული კომუნისტი ბათლომე ალექსის ძე ჩხარტიშვილი, სანაინის ფრონტზე დაავათმყოფებული ლაზარეთში გარდაიცვალა, რომელიც იმისმა ამხანაგებმა სახლში (ს. ჯუმათში) მოასვენეს და დასაფლავების დღესაც ბლომათ დაესწრენ (უდა უთქვას რომ ჯუმათში კომუნისტები თითქმის უმრავლესობას შეადგენენ და მახლობელ სოფლებსაც ედება ასეთი გრძნობები) დამსწრე კომუნისტებმა სიტყვები წარმოსთქვეს განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ ღა თანაც გაბატონებულ კლასებს და ბურჟუაზიას გაკვრით შეეხნენ. ეს იწინააღმდეგეს მართლაც და გაბატონებულმა ადგილობრივმა მენშევიკებმა და იმათმა აგენტებმა ცნობილ ოზურგეთის მაზრის კომისარს გერმანე ღლონტს დაებეზღეს, უკანასკნელმა, როგორც მარდმა ასეთებში, დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში მოათავსა ადმინისტრატიული უფლებით თვენახევარი, დასატყვებელ კომუნისტების რიცხვი უდრიდა 60, მაგრამ მათში მხოლოდ 15-დე დააპატიმრეს—დანარჩენებმა მხოლოდ გადამალვით გადირჩინეს თავი, ამის შესახებ ვიღაც პ. მათიძეს ქუთაისის გაზ. „სოც.-დემოკრატში“ მოეთავსებია წერილი, რომელიც გულწრფელი ენერგიით არწმუნებდა საზოგადოებას, რომ ჯუმათში ანარხიული მდგომარეობა სუფევს ტიმრეს ბოლშევიკებით.

როდის მოეტანა ასეთ სამარცხვინო მენშევიკურ თავგასულობას ბოლო სოფლათ მაინც?.

„**აქაური**“

წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

მე ვიმსახურე, როგორც რკინის გზის მოღვაწემ 12 წლის განმავლობაში და უკანასკნელ ხანებში მეკავა საპასუხისმგებლო ადგილი—რკინის გზის მატარებლის მემანქანისა.

7 იანვარს 1918 წელს სამხედრო ეშალონი გაჩერდა თფილისის მხარეს სადგურ ყარაიაზის შესასვლელ სემაფორთან და მეორე კავკასიის ჯართა სიეზდის დადგენილებით, უარი განაცხადა იარაღი გარდაეცა ჯავშნიანი მატარებლისათვის. უკანასკნელმა განიზრახა რა ძალით აესრულებინა „ურჩი“ ჯარისკაცები იარაღის დაყრისათვის, შეუდგა საომრათ მზადებას. ფლანგებიდან მოუარა ეშალონს და თვით ჯავშნიანი დააყენა იმ ალაგას, საიდანაც ადვილათ და მოხერხებულათ შეიძლებოდა სროლა. ამ გარემოებამ გამოიწვია პანიკა სადგურზე, მოსამსახურეები და მათი ოჯახობანი შიშით გაიფანტნენ. მე, რომ თავიდან ამეცილებინა უმიზნო სისხლის ღვრა და რკინის გზის კატასტროფა, ვამჯობინე დამებრუნებია ეშელონი უკან სადგურ აგტაგლიაში. იმავე წელს 10 იანვარს, ვცდილობდი რა მთელი ჩემი ძალით და არსებით ამესრულებინა ჩემი საპასუხისმგებლო მოვალეობა, რომ უვნებლათ მიმეყვანა იმ ათას ადამიანთა სიცოცხლე რომელნიც ფრონტისაგან სულიერ და ფიზიკურ დაღლილობას გრძნობდენ, და ეს ჩემი მოვალეობა მე შევასრულე მაშინ, როდესაც მთელ ეშალონებს უდიდესი საფრთხე მოელოდა, რადგან რკინის გზის ახლოს აღმართული იყო თათართა გამზადებული პოზიციები. და იქვე ახლოს იდგა ჯავშნიანი მატარებელი, მივიყვანე რა ამგვარ პირობებში მატარებელი სადგურ ელისავეტპოლში, ხალხი შეგვეგება „ურას“ ძახილით, ცხადია ამიტომ, რომ ჩვენ შევძელით მიმოსვლის განახლება, რომელიც კინაღამ შესწყდა.

ხსენებულ სადგურიდან გამგზავრების შემდეგ ჩვენ ტელეგრაფით შევიტყვეთ, რომ უკან მომავალ ეშალონს და ჯავშნიანს „დიკი დივიზიასთან“ ერთად შეტაკება მოსვლოდათ, ჩვენ ვემყარებოდით რა უკანასკნელ შეთანხმებას, რომელიც მოხდა ეშალონების დელეგაციას და „კომისარიატს“ შორის, წინა ეშალონი არ დაბრუნდა და მეც მას გავყევი სადგურ ბალაჯარამდი. ასეთ მოქმედებისათვის, ასეთ ღონისძიებისათვის, რომელიც გასწია რკინის გზის მოსამსახურემ სამსახურის დროს, რომელმაც დაიხსნა მრავალი სიცოცხლე, ქონება და თვით გზა, მხოლოდ თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ჯარების წვრიმალ ინტერესებს რომელთაც „კომისარიატის“ ბრძანებით დაკისრებული ქონდათ იარაღის აყრა გამვლელ ეშალონებსათვის, ცხადია არავის არა ეთქმოდა გარდ „მადლობისა“- მაგრამ მას შემდეგ მთავრობამ ოთხჯერ გამოიცვალა სახელი და შემადგენლობა მაგ. „ამიერ-კავკასიის კომისარიატი“, „ამიერ-კავკასიის სეიმი“, „ეროვნული საბჭო“ უკანასკნელის არსებობის დროს მე ზემოთ მოხსენებული მოქმედებისათვის სამსახურში, დამატყვევეს 1918 წელს 2 ოქტომბერს და ვზივარ დღევანდლამდის ციხეში ყოველივე ბრალდების წაუყენებლათ.

მთელი ჩემი არსებით პროტესტს ვაცხადებ ასეთ დაუმსახურებელ ხალხის წინაშე და მთავრობის მხრით კი უკანონო ძალმომრეობისათვის და ვთხოულობ სრულ თავისუფლებას და თუ ჩემი პიროვნება შიშს იწვეეს, მაშინ აქედან გადასახლებას.

უფრო დაწვრილეაითი აღწერა ყოველივე ზემოთ მოყვანილისა მოთავსებულია ბაქოს „საბჭოთა უწყებებში“ 13 იანვრის 1918 წლის თარიღით.

მეტეხის ციხე მემანქანე **ნოე ლეჟავა.**

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქციო-კოლეგი

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგბის“, გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.